11/12/2025

MES 8 25 0001770704

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;

ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;

მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ქეთიმუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის №1 საჯარო სკოლა:
თამთა აბსავა - სკოლის დირექტორი;
ლელა ცარციძე - სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი

სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ უსახელოს საჯარო სკოლა:
გიორგი იაკობიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის N118 საჯარო სკოლა:
გიული შენგელია - სკოლის დირექტორი

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლა:
დიანა გელიტაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლა:
ნონა ხოხაშვილი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის №1 საჯარო სკოლა:
ა) გიორგი ნებიერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ტარიელ კალანდაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ უსახელოს საჯარო სკოლა:
ა) ნატო ოგანეზოვი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ირმა კუჭავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის N118 საჯარო სკოლა:
ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თინა ძულიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლა:
ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაია ბუაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლა:
ა) ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაია ლაპიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 28 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის №1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2.სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ უსახელოს საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3.სსიპ - ქალაქ თბილისის N118 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4.სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5.სსიპ - ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ცენტრს დაუკავშირდა სსიპ- ქალაქ თბილისის N118 საჯარო სკოლის ექსპერტი, ლიანა კობესაშვილი, რომელსაც ჰქონდა ტექნიკური ხარვეზი, ვერ ახერხებდა საბჭოს სხდომაზე შესვლას და ითხოვა აღნიშნული საკითხის ბოლო, მეხუთე საკითხად გადატანა.
საბჭომ გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა და დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1.სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის №1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2.სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ უსახელოს საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3.სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4.სსიპ - ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5.სსიპ - ქალაქ თბილისის N118 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის №1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 25 და 26 სექტემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 სექტემბრის N1251592 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 340 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 321.
ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“, ვინაიდან კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასდა „ნაწილობრივად“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ შესრულებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- „სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს ხედვა, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
- სკოლამ დაამტკიცოს ხედვა, რომლითაც განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
- სკოლამ, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შეიმუშაოს მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სკოლამ უზრუნველყოს მისიის, ხედვის და ღირებულებების, გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის;
- სკოლამ უზრუნველყოს დამტკიცებული მისიის, ხედვის და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა;
- სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;

- სკოლამ სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, ასევე შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები;
- სკოლამ შრომითი ხელშეკრულებები მოიყვანოს შესაბამისობაში თანამდებობრივ ინსტრუქციებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან;
- სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილდეს ისე , რომ ხელს უწყობდეს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ვინაიდან სკოლა საგანმანათლებლო პროცესს ახორციელებს ორ სხვადასხვა მისამართზე არსებულ შენობაში, თანამშრომლების შრომით ხელშეკრულებებსა და თანამდებობრივ ინსტრუქციებში მკაფიოდ განისაზღვროს თუ რომელი თანამშრომელი რომელ სასწავლო შენობაში ახორციელებს ფუნქციებს;
- სკოლამ გაიაზროს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები და შემუშავებულ დოკუმენტაციაში გაითვალისწინოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისთვის აუცილებელი რეგულაციები;
- სკოლამ დეტალურად განსაზღვროს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის მექანიზმები.“

ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესრულებული არ ჰქონდა შემდეგი რეკომენდაციები:

- „სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების არსებობა;
- სკოლამ უზრუნველყოფს ორივე შენობაში: 1.დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. 2. დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ 3. მეორე შენობაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ-ს შესაბამისად სამედიცინო პერსონალის არსებობა;
- სკოლამ ძირითად შენობაში უზრუნველყოს ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომობა სკოლის ყველა კაბინეტზე, კერძოდ, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიაზე და სპორტულ დარბაზზე;
- სკოლამ უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ოფიციალური ვებ გვერდის საშუალებით;
- სკოლამ უზრუნველყოს ინფორმაციის განთავსება ვებგვერდზე;
- სკოლამ განათავსოს ვებგვერდზე ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები.“

აქვე, ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ, განმარტა, რომ სკოლის ორივე კორპუსის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით, დაწესებულებამ მოიპოვა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნა, რომლის თანახმადაც სკოლის ძირითადი კორპუსის ტექნიკური მდგრადობა დამაკმაყოფილებელი და ვარგისი იყო ექსპლუატაციისათვის, ხოლო რაც შეეხებოდა შერწყმულ კორპუსს - ტექნიკური მდგომარეობა (მდგრადობა) არადამაკმაყოფილებელი იყო და შენობას ესაჭიროება აღდგენითი სამუშაოების ჩატარება წინასწარ შემუშავებული პროექტის მიხედვით.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, რა მდგომარეობა იყო შერწყმული კორპუსის ტექნიკურ მდგრადობასთან მიმართებით და მიმდინარეობდა თუ არა აღნიშნულ შენობაში სწავლება.

სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა, ლელა ცარციძემ, აღნიშნა, რომ შერწყმულ სკოლაში არ მიმდინარეობდა სწავლება და მოსწავლეები გადაყვანილი იყვნენ ძირითად შენობაში, სადაც სწავლა ხორციელდებოდა ორ ცვლაში, მიმდინარე პერიოდში ელოდებოდნენ სსიპ-ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მეორე დასკვნას და ამ დასკვნის საფუძველზე მიიღებდნენ გადაწყვეტილებას შერწყმულ სკოლაში სწავლების გაგრძელების თაობაზე.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, რა ვითარება იყო ექიმის დასაქმებასა და სამედიცინო კაბინეტის მოწყობასთან მიმართებით.
სკოლის დირექტორის, თამთა აბსავას განმარტებით, გამოცხადებული ჰქონდათ ექიმის ვაკანსია და ელოდნენ გამოხმაურებას. მისი თქმით, ვერ შეძლეს მედიკამენტების შესყიდვა, თუმცა პირველადი დახმარებისთვის საჭირო მასალები განთავსებული ჰქონდათ კაბინეტში.
ასევე, ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ თავდაპირველად მიმართეს მუნიციპალური განვითარების ფონდს, კიდევ ერთხელ მოხდა შერწყმული სკოლის შენობის სახურავის გადახურვა და ფონდის დასკვნის თანახმად, სკოლას არ ჰქონდა მდგრადობის პრობლემა, თუმცა ვინაიდან არსებობდა ორი ურთიერთგამომრიცხავი დასკვნა (ერთის მხრივ მუნიციპალური განვითარების ფონდის და მეორეს მხრივ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს) მიმართეს სსიპ - ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს შენობის მდგრადობის კიდევ ერთხელ შემოწმებისთვის.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა, რამ განაპირობა, რომ განვლილი სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში არ არსებობდა.
სკოლის დირექტორის, თამთა აბსავას თქმით, იგი იყო ახლადარჩეული დირექტორი და ვერ შექმნიდა ობიექტურ ანგარიშს, თუმცა მიმდინარე პერიოდში იდენტიფიცირებული ჰქონდა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები და შეძლებდა ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აღნიშნულის გათვალისწინებას.
საბჭოს წევრი, დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას სამედიცინო პერსონალი.
ექსპერტის, გიორგი ნებიერიძის თქმით, სკოლას ჰყავდა ექიმი, რომელიც პროფესიით იყო სტომატოლოგი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის №1 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:55
დასრულების დრო: 15:03

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის №1 საჯარო სკოლის (სკ/: 220373628) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის ნოემბერში მეთოდოლოგიის შესაბამისი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობის, შედეგების გაანალიზებისა და მომავალ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში ინტეგრირების, თითოეული დასაქმებულის პირად საქმეში უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების, კანონმდებლობისა და სკოლის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი პერსონალის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების) დასაქმების, სკოლის ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის, სპეციალური ფორმებისა და ჟურნალების რეგულარულად წარმოების, ხელოვნური ბარიერის განთავსების (შირმის)სამედიცინო კაბინეტის მომარაგების, ვებ-გვერდზე სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრუქტურის, წლიური სამოქმედო გეგმისა და სამოქმედო გეგმის ანგარიშების, ხოლო შესრულებისა და დამადასტურებელი მტკიცებულებების მიღებისთანავე შერწყმული საბაზო სკოლის ტექნიკური მდგრადობის შესახებ დასკვნის, ორივე შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და ძირითადი შენობის ადაპტირების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ უსახელოს საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნატო ოგანეზოვმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 16 და 17 ოქტომბერს ცენტრის დირექტორის ბრძანების

საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 09 ოქტომბრის N1299836 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 150 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 48.
ექსპერტმა, ნატო ოგანეზოვმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“, ვინაიდან კომპონენტები 3.1 და 3.4 შეფასდა „მეტწილად“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ შესრულებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- „ სკოლის სამოქმედო გეგმა დაეფუძნოს მოქმედ სტრატეგიულ გეგმას, სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად;
- სკოლამ შეიმუშაოს ახალი სამოქმედო გეგმა ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად;
- სკოლაში დასაქმებულმა პირებმა წარმოადგინონ შემდეგი ცნობები: ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის; ცნობა ,,უფლების ჩამორთმევის შესახებ“; სკოლამ უზრუნველყოს ხელოვნების კვალიფიციური მასწავლებლის აყვანა კონკურსის წესით;
- სკოლამ უზრუნველყოს მეორე სართულის ადაპტირება (პანდუსი) ან უზრუნველყონ ბიბლიოთეკის, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების, ისტ ლაბორატორიის პირველ სართულზე განთავსება;
- სკოლამ წარმოადგინოს შენობის მდგრადობის დასკვნა; სკოლამ წარმოადგინოს სკოლის საკადასტრო ნახაზი გატარებული საჯარო რეესტრში.“

ექსპერტმა, ნატო ოგანეზოვმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესრულებული არ ჰქონდა შემდეგი რეკომენდაცია:

- „წარმოადგინოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ“.

ექსპერტმა, ნატო ოგანეზოვმა, აღნიშნა, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა მხარდაჭერას, ასევე, წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო მასალა. მისი თქმით, სკოლის შენობა იყო კეთილმოწყობილი.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, რა ვითარება იყო სახვით და გამოყენებით ხელოვნების კვალიფიციური მასწავლებლის დასაქმებასთან მიმართებით.
ექსპერტმა, ნატო ოგანეზოვმა, აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლას ჰყავდა კვალიფიციური მასწავლებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ უსახელოს საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:16
დასრულების დრო: 15:21

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ უსახელოს საჯარო სკოლის (სკ/: 215606379) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის მარტში თანამშრომელთა სამსახურში მიღების წესის სრულყოფის (სპეციალური მასწავლებლის, ადმინისტრაციისა თუ ტექნიკური პერსონალის შერჩევის წესის განსაზღვრის) ხოლო შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე სკოლის შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ ვერ მიიღებდა აღნიშნული სკოლის საკითხის განხილვაში მონაწილეობას, ვინაიდან 2023 წელს ავტორიზაციის პროცესში იყო ექსპერტი და აღნიშნული საკითხის განხილვას წარუძღვდებოდა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს სხვა წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს სხვა წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ

ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 22 და 23 ოქტომბერს ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 06 ოქტომბრის N1320630 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 450 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 381.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“ ვინაიდან კომპონენტი 3.4 შეფასებული იყო „მეტწილი შესაბამისობით“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა გაიცა რეკომენდაცია და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ შესრულებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- „სკოლამ უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა;
- სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავება;
- სკოლამ უზრუნველყოს პედაგოგების მიერ ნასამართლობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობების წარმოდგენა;
- სკოლამ უზრუნველყოს შესაბამის სფეროში აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის წარმოდგენა (მონიტორინგის ვიზიტის დროს სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა მიწერილობა);
- სკოლამ უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის შემუშავება;
- სკოლამ უზრუნველყოს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურების დოკუმენტურად შემუშავება;
- სკოლამ უზრუნველყოს ვებ გვერდის შექმნა;
- სკოლამ უზრუნველყოს ვებ გვერდის შექმნა, რომელზეც განთავსებული იქნება ინფორმაცია სკოლის შესახებ;
- სკოლამ უზრუნველყოს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა მოსწავლეთათვის.“

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, თუმცა სპორტულ დარბაზსა და მოედანს ესაჭიროებოდა რეაბილიტაცია.

ექსპერტის, ქეთევან ბოტკოველის თქმით, დაწესებულება მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა მხარდაჭერას, სადამრიგებლო პროგრამებში გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც ხელს უწყობდა მათ სკოლაში ინტეგრაციას და სოციალურ ადაპტაციას.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
სკოლის დირექტორმა, დიანა გელიტაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას მოპოვებული ჰქონდა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, ასევე დაწყებული ჰქონდათ მუშაობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებისთვის და მობილიზებული იყო შესაბამისი თანხა.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიღების შემდგომ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნა, რომელიც შესწავლილი ჰქონდათ საბჭოს წევრებს.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:36
დასრულების დრო: 15:39

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლის (სკ/: 236087649) მონიტორინგთან დაკავშირებით.

4. სსიპ - ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 23 და 24 ოქტომბერს ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 სექტემბრის N1179243 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 750 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 730.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“, ვინაიდან კომპონენტი 3.4 შეფასდა „ნაწილობრივად.“
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა გაიცა რეკომენდაცია და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ შესრულებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- „სკოლამ უზრუნველყოს სკოლის ახალი მისიის და ხედვის დამტკიცება, რომელიც შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან;
- სკოლამ განსაზღვროს საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოების უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურულ სივრცის ჩამოყალიბების პროცესში, წარმოაჩინოს სკოლის დანიშნულება -შეუქმნას მოსწავლეს ყველა პირობა, რომ თავი მაქსიმალურად დაცულად იგრძნოს და შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება;
- სკოლამ უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლის სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება. რისთვისაც შესაძლებელია გამოყენებულ იყოს კვლევის სხვადასხვა ინსტრუმენტები;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ, იმგვარად , რომ ,, ჩვენ“ განცდის დანერგვა მოხდეს სასკოლო საზოგადოებაში;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს საბოლოოდ შეთანხმებული მისიის, ხედვის და ღირებულებების საჯაროობის უზრუნველყოფა მისთვის ხელსაყრელი ყველა საკომუნიკაციო არხით და ფორმით;

- დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის შემუშავება;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცება, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, რეკომენდებულია არსებული მდგომარეობის შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, სტრატეგიული მიზნების ფორმულირება, მხედველობაში უნდა იქონიოს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები როგორც უმაღლეს დონეზე დეკლარირებული პრინციპები, რომელთან წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს სტრატეგიული მიზნები და აქტივობები;
- დაწესებულებამ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა და ასახოს მასში ინდიკატორით გათვალისწინებული ყველა ინფორმაცია;
- დაწესებულებამ შეიმუშაოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების სისტემა,სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
- სკოლამ უზრუნველყოს თანამშრომელთა პირად საქმეებში სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების არსებობა;
- სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ათვლის წერტილი იყოს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია), რომელიც პროცესების კვლევას და მათ შემდგომ განვითარებას გულისხმობს;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (30.09.2023 მდე). კერძოდ, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება (შესრულებულია ნაწილობრივ კერძოდ: სკოლამ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეათანხმა უფლებამოსილ ორგანოსთან. სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა მოიპოვა, თუმცა აღნიშნული დასკვნის თანახმად სკოლა ვერ აკმაყოფილებს სახანძრო უსაფრთხოების ნორმებს);
- დაწესებულებამ შექმნას ოფიციალური ვებ გვერდი, რითაც მოახდენს საზოგადოების ინფორმირებულობას ქართულ ენაზე;
- დაწესებულებამ ვებ გვერდზე განათავსოს ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ, ასევე რაც ინდიკატორით არის გათვალისწინებული.“

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესრულებული არ ჰქონდა შემდეგი რეკომენდაცია:

- „დაწესებულებამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა და სასწავლო რესურსის უზრუნველყოფა.“

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული და ჰქონდა კეთილმოწყობილი გარემო. ექსპერტის თქმით, მონიტორინგის დროს დადასტურდა, რომ მოსწავლეები და თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული STEM და სხვა საგანმანათლებლო პროექტებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:55
დასრულების დრო: 15:59

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლის (სკ/: 232579974) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. სსიპ - ქალაქ თბილისის N118 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 09 და 10 ოქტომბერს ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18

სექტემბრის N1179241 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 1600 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 1381.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით 1-ელი, მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტები 1.1, 1.2, 3.1, 3.2, 3.3, 3.4, 3.5, 4.1 და 4.2 შეფასდა „მეტწილად“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ შესრულებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- „გაიწეროს ღირებულებები, დაადასტუროს ხედვის დოკუმენტის საჯაროობა;
- შეიმუშავოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული (7 წლიანი) განვითარების გეგმაში იყოს ციკლურობა, დოკუმენტი გაიწეროს დროში, განისაზღვროს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი;
- სამოქმედო ერთწლიანი გეგმა შეიქმნას სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე (სკოლას აქვს სამოქმედო გეგმა, ის ერთწლიანია. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები არ არის სრულად თანხვედრაში სრატეგიულ განვითარების გეგმით განსაზღრულ სტრატეგიულ მიზნებთან);
- შეიმუშავოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგია;
- შეიმუშავოს სტრატეგიული განვითარების, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი, შექმნას მეთოდოლოგიის შესაბამისი შესრულების მონიტორინგი და შეფასება;
- სკოლის თანამშრომლების პირად საქმეში არსებული დოკუმენტების ნუსხა მოიყვანოს შესაბამისობაში არსებულ კანონმდებლობასთან და სკოლის შინაგანაწესის მოთხოვნასთან;
- შეიმუშავოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- მოახდინოს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესების იდენტიფიცირება და აღწერა;
- შეუიმუშავოს საზოგადოების უკუკავშირზე რეაგირების მექანიზმი;
- მოიპოვოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა;
- საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის განსაზღვროს სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება შესაბამისი ცდების ჩატარება;
- შეიმუშავოს საქმისწარმოების ერთიანი წესი;
- შექმნას ვებ-გვერდი;
- მოხდეს ახალ სამოქმედო გეგმაში გაწერილი კონკრეტული აქტივობების სკოლის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტთან თანხვედრის უზრუნველყოფა.“

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესრულებული არ ჰქონდა შემდეგი რეკომენდაციები:

- „სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს სტრატეგიული გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები;
- შექმნას სწავლის ინკლუზიური გარემო.“

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა, რა იყო იმის მიზეზი, რომ 1-ელ სტანდარტთან მიმართებით მიღებული რეკომენდაცია არ ჰქონდა გამოსწორებული სკოლას და სამომავლოდ თუ ჰქონდა მზაობა რეკომენდაციის გათვალისწინებისთვის.
სკოლის დირექტორის, გიული შენგელიას თქმით, შექმნილი ჰქონდა სამუშაო ჯგუფები და შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში აუცილებლად გაითვალისწინებდნენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N118 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:09
დასრულების დრო: 16:15

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ თბილისის N118 საჯარო სკოლის (სკ/: 209472649) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის დეკემბერში სკოლის ფილოსოფიის რევიზირების, გაზიარების, მასში თვითშეფასების შედეგების გათვალისწინების, სამოქმედო გეგმის სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნების, სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული გეგმის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინების, ერთწლიანი გეგმის შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის, სამოქმედო გეგმის გაანალიზებისა და შედეგების სკოლის განვითარებისთვის გამოყენების, კვალიფიციური მასწავლებლებისა და ექიმების დასაქმების, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წერილობითი თანხმობის მოპოვება მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისა და დასაქმებულებისგან, ახლად

იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის, კითხვარების ანალიზის, ყველა მოსწავლისთვის სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმის პრაქტიკული გამოყენების უზრუნველყოფის, კვების ობიექტის სისტემური შეფასების მექანიზმების ამოქმედებისა და ობიექტის მუდმივი მონიტორინგის, 2026 წლის დეკემბერში დასაქმებულთა პროფესიული საჭიროებების დადგენის, პერსონალის გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე მათი განვითარების გეგმის შემუშავების, დემინგის ციკლის, როგორც სისტემური მართვის მოდელის სრული მასშტაბით გამოყენების, სკოლის ეზოს შემოღობვის, შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე სკოლის შენობის ადაპტირებისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 16:20 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
მოადგილე/საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
მამსიკაშვილი თამარი

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა